9478/3-81/21 2 14092021

9478/3-81/21
14-09-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

1. გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:
   - რა თანხით დააფინანსებს სახელმწიფო ფარცხანაყანებსა და კოპიტნართან 125 ჰექტარზე მდებარე მერძევეობის ფერმასა და კოოპერატივს?
   - რა იქნება აღნიშნული თანხის წყარო?
   - ვინ და რა პრინციპით დააკომპლექტებს პროექტის მენეჯმენტს?
2. ასევე, გთხოვთ, მომაწოდოთ შპს იმერეთის აგრო ზონის 2018-2021 წლების ფინანსური მონაცემები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

შპს იმერეთის აგროზონა
IMERETI AGROZONE LLC

იმერეთის აგროზონა
IMERETI AGROZONE

220921/01

22 სექტემბერი 2021 წელი

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს"

ქალბატონო ანა,

თქვენს მიერ 2021 წლის 14 სექტემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილ N 9478/3-81/21 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. შპს „ იმერეთის აგრო ზონა" გახლავთ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" შვილობილი კომპანია და იგი ახორციელებს სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტს წყალტუბოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. პროექტი ხორციელდება 220 ჰა მიწის ნაკვეთზე (წყალტუბო - 159ჰა, ბაღდათი - 61ჰა). კომპანია ასევე დამატებით ფლობს 125 ჰა მიწის ნაკვეთს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.
მოგახსენებთ, რომ ე.წ. „მეცხოველეობის ფერმის" პროექტი გახლავთ შპს „იმერეთის აგრო ზონის" სოციალური პროექტი იმ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომლებიც წყალტუბოს მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ ცხოვრობენ, ჰყავთ ერთი ან რამდენიმე ძროხა და მათ ძირითადი შემოსავალი რძის და რძის პროდუქტების რეალიზაციაა. „სოფლის განვითარების სააგენტოს" ხელშეწყობით, ასეთმა ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა უნდა შექმნან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. შპს „იმერეთის აგრო ზონა" გეგმავს, ახლად შექმნილ კოოპერატივს გადასცეს 125ჰა მიწის ნაკვეთი, სადაც შეიქმნება მეცხოველეობის ფერმა და ასევე მოხდება საკვები ბაზის განვითარება. მეცხოველეობის ფერმის შექმნის (აშენების) დაფინანსება დაგეგმილია „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამ"-ის ფარგლებში, რომელსაც ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო" ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით.
ასევე, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სხვა დონორ ორგანიზაციებთანაც, რომ მოხდეს კოოპერატივის სხვა საჭიროებებისთვის დაფინანსების და ტექნიკური დახმარების მოძიება.

მის: ს.ახმეტელის ქ.10ა; 0159 თბილისი, საქართველო
Address: 10a S. Akhmeteli street; 0159 Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: archil.bukia@arda.gov.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13127/21
"24" 09 2021 წ. ფურცლ. 2

მოგეხსენებათ, რომ კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა კოოპერატივის წევრების საერთო კრება. კოოპერატივის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საერთო კრება ირჩევს კოოპერატივს გამგეობას, რომელიც მართავს და ხელმძღვანელობს კოოპერატივის საქმიანობას.

2. შპს „იმერეთის აგრო ზონის" დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი და თანხები მიმართულია სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტის განხორციელებისათვის. დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ www.iaz.ge
ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხები წლების მიხედვით:
2018 – 0 ლარი
2019 – 2,000,000 ლარი
2020 – 630,000 ლარი
2021 – 2,000,000 ლარი

პატივისცემით,
არჩილ ბუკია

მის: ს.ახმეტელის ქ.10ა; 0159 თბილისი, საქართველო
Address: 10a S. Akhmeteli street; 0159 Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: archil.bukia@arda.gov.ge